აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისია

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №34

15/10/2024 ქ. ბათუმი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრების განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 01 სექტემბრის №16 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და „საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 16 აგვისტოს №66/2024 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 10 ოქტომბრის N263/2024 განკარგულების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრების განსაზღვრის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 01 სექტემბრის №16 განკარგულების პირველ პუნქტში შეტანილი იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით რეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტებს განესაზღვროთ შემდეგი რიგითი ნომრები:

1. №4 – კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა;

2. №5 – „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“;

3 №6 – „ევროპელი დემოკრატები“;

4. №8 – „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“;

5. №9 – „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“;

6. №12 – „ჩვენი გაერთიანებული საქართველო“;

7. №20 – თავისუფალი საქართველო;

8. №21 – ტრიბუნა;

9. №25 – „გახარია საქართველოსთვის“;

10. №36 – „გირჩი“;

11. №41 – ქართული ოცნება.“

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე

ტარიელ გოგიტიძე

კომისიის მდივანი